№ 286 შუადღის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, დეკემბრის 16 1920 წ.

წითელ ბანერზე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ხე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—87.

კახეთის რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 28-ს დილის 12 საათზე

რკ. გზის სამმართველოში (ქ. ტფილისი, ელისაბედის ქ., № 73).

საჯაროვაჭრობით გაიცემა გუფეტები სადგურ იორის, საგარეჯოსი და გურჯაანისა

1921 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში მან უნდა შემოიტანოს გზის სამმართველოში ან გამოგზავნოს ფოსტით განცხადება დაბეჭდილ პაკეთში წარწერით: „კახეთის რკინის გზის სამმართველოს კანცელარიაში (ელისაბედის ქ., № 73) ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ“. განცხადებაზე უნდა ეკრას 4 მანეთის საღერბო მარკები, აღნიშნული იქმნეს გვარი, სახელი, მამის სახელი, რაოდენობა თანხისა, რომელსაც იძლევა იჯარად მთხოვნელი და აგრეთვე დართული უნდა იქმნას ბარათი გზის სამმართველოს ან სადგურის კასაში წინასწარი საწინდრის შეტანისა სად. იორის ბუფეტზე 3.000 მან., ხოლო საგარეჯოს და გურჯაანის ბუფეტებზე 5.000 მან.

განცხადება უსაწინდროდ არ განიხილება, ხოლო ვისიც პირობები მიუღებელი იქნება მათ საწინდარი საჩქაროდ დაუბრუნდებათ.

განცხადებები მიიღება 28 დეკემბრის დილის 11 საათამდე. 1034 3-2

ქალაქის ტელეფონის ქსელის უფროსისაგან.

ამით ვაცხადებ განურჩევლათ ყველა აბონენტების საყურადღებოთ, რომ 1921 წ. პირველ იანვრიდან დაწესებულია შემდეგი ნიხრი ქალაქის ტელეფონის ქსელით სარგებლობისა (ნიხრი ცალკე ფურცელზე): 1921 წლის საბონენტო გადასახადი, ნიხრში მოყვანილი ზომით, მიიღება ტელეფონის ქსელის სალაროში $9^1/_2$—$12^1/_2$ საათამდე.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ იმ აბონენტებს, რომლებიც არ შემოიტანენ გადასახადს 1921 წლის 1 იანვრამდე, მოეხსენებათ ტელეფონები, ხოლო მოხსნილი ტელეფონების შეერთება მოხდება საერთო წესით.

ტელეფონის ქსელის უფროსი **ი. იანოვი.**

ნიხრი,

აბონენტებისათვის ტელეფონის დადგმა მოწყობისათვის, გადატანისათვის და მათი სარგებლობისათვის ქალაქ ტფილისში 1921 წ. 1 იანვრიდან.

№ №	რისთვის უნდა გადახდეს ფასი.	გადასახადი. მან.	კ.	შენიშვნა:
1	ტელეფონის აპარატის დადგმა მოწყობისათვის იმ პუნქტებში, რომელნიც ორ ვერსზე მეტს არ არიან დაცილებული ცენტრალურ ტელეფონის სადგურს	3000	—	ერთდრ.
2	ტელეფონის აპარატის დადგმა მოწყობისათვის იმ პუნქტებში, რომელნიც ორ ვერსზე მეტს არიან დაცილებული ცენტრალურ ტელეფონის სადგურს	3750	—	„
3	დამატებითი ტელეფონის დადგმა მოწყობისათვის ერთ და იმავე შენობაში იმავე ანუ სხვა ოთახში	3000	—	„
4	ტელეფონის აპარატის ერთი ბინიდან მეორეში გადასატანი, რომელიც ცენტრალურ სადგურიდან ორ ვერსზე მეტს არ არის დაშორებული	1500	—	„
5	ტელეფონის აპარატის გადასატანი ერთი ბინიდან მეორეში ცენტრალურ სადგურიდან ორ ვერსზე მეტს მოშორებით . . .	1875	—	„
6	ტელეფონის გადასატანი ერთი ბინიდან მეორეზე ერთ და იმავე შენობაში იმავე ანუ სხვა სართულში	1200	—	„
7	ტელეფონის გადასატანი ერთი ოთახიდან მეორეში, ერთ და იმავე ბინაზე	750	—	„
8	ტელეფონის სარგებლობისათვის სახელმწიფო დაწესებულებებში და იმ კერძო ბინებში, სადაც ტელეფონით სარგებლობა კერძო პირებისათვის შეუძლებელია	1000	—	თვეში.
9	ტელეფონით სარგებლობისათვის კერძო ბინებზე, სადაც აპარატის სარგებლობა შესაძლებელია სხვა პირებთათვისაც და აგრეთვე რედაქციებში, კოოპერატივებში, სამკურნალოებში, ამბულატორიაში და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში	1500	—	თვეში.
10	ტელეფონით სარგებლობისათვის სავაჭრო-სამრეწველო დარგების, ფაბრიკების და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა მიერ	3000	—	თვეში.
11	ტელეფონით სარგებლობისათვის ისეთ ბინებში, რომლებიც ცენტრალურ სადგურიდან მოშორებულია ორ ვერსზე მეტად, გარდა ყოველ თვიური გადასახადისა, რომელნიც ნაჩვენებია 8, 9, 10 პარაგრაფებში, კიდევ გადახდება თვითეულ ასს ანუ ასის ნაწილ საჟენში	100	—	„

1037 1—1

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს პირველად ტფილისში მ. მორდკინისა საბალეტო წარმოდგენა პოეტიკაიას მონაწ.

„კარნავალი“

პარასკევს, 17 დეკემბერს საიუბილეო სიმფონიური კონცერტი ბეთხოვენის დაბადებიდან 150-წლის შესრულდების გამო ბოროვსკისა და ბელოუსოვის მონაწ. შაბათს, 18 დეკემბერს წარმოდგენა მუშებისათვის სიმფონიური კონცერტი ბოროვსკისა და ბელოუსოვის მონაწ. კვირას, 19 დეკემბერს, „ფრა დიავოლო“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს თერაპევტიულ განყოფილებაში

თავისუფალია უმცროსი ორდინატორის ადგილი.

ამ თანამდებობის დაკავების მსურველთ დეკემბრის 25-მდის უნდა წარმოადგინონ თხოვნა და Curriculum vitae მთავარ ექიმის სახელობაზე.

1036 2—1

ოფიციალური განყოფილება.

გახკბარგულებანი

დეპარტამენტის დირექტორისა.

11 დეკემბერი, 1920 წ., № 435.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს ელექტრონის სადგურის მემანქანის თანაშემწედ ნიკოლოზ შახიჯანოვი ა. წ. დეკემბრის 1-დან.

11 დეკემბერი, 1920 წ., № 437.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა კანონთა გადამსინჯავ კომისიის მანქანაზე გადამწერი ელენე ნიკოლოზის ასული გერმან ა. წ. დეკემბრის 11-დან.

13 დეკემბერი, 1920 წ., № 438.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად ამავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე დავით ირაკლის ძე თუთბერიძე ა. წ. დეკემბრის 10-დან.

№ 439.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ კანცელარიის მოხელე ლევან ზაქარიას ძე თამაზიშვილი ა. წ. დეკემბრის 10-დან.

დეპერტამენტის დირექტორის
თ. ა. **ივ. ბერიაშვილი.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

6 ნოემბერი, 1920 წ., № 59.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონი სტეფანე არუთინაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტალიონათ ლაგოდეხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. ყოფილი მოხელენი: სილიბისტრო გატოვი და ანნა ხიზანიანცი მე 5 ხარისხის მოხელეებათ: გატოვი-ეკატერინოვკაში, ხიზანიანცი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში; კანდიდატი ნიკოლოზ ინასარიძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონათ ბათომში; არუთინაშვილი 11 ნოემბრიდან დანარჩენნი 16 ნოემბრიდან.

დანიშნულნი არიან: ხეთის ფოსტალიონი აკაკი ბუკია მეექვსე ხარისხის მოხელეთ გაგრაში; არტაანის მე-6 ხარისხის მოხელე გრიგოლ გვარამაძე მე-5 ხარისხის მოხელეთ; ქუთაისის მე-4 ხარისხის მოხელე ალექსანდრე კუპრეიშვილი მე-5 ხარ. მოხელეთ ბუკია და კუპრეიშვილი 16 ნოემბრიდან, გვარამაძე 1 დეკემბრიდან.

დათხოვნილნი არიან: ტფილისის რკინის-გზის ფოსტის განყოფილების მოხელე 3 ხარ. სამსახურიდან გადაყენებული რაჟდენ ნუცუბიძე, წნორის წყალის მე-6 ხარ. მოხელე ივანე ჭილაშვილი, შულავერის მე-6 ხარ. მოხელე კონსტანტინე შიუკაშვილი, ალავერდის ზედამხედველი დაბალი ჯამაგირით აკაკი ლექვინაძე და ფოსტალიონები: ალავერდის გიორგი ანდრიაშვილი მინაძე, არდანუჩის თეოფილე სტურუა, ტფილისის ფოსტის კანტორის გრიგოლ ღვინერია და ბაშკიჩეთის მიხეილ ჩაბანოვი ნუცუბიძე 22 სექტემბრიდან, ჭილაშვილი, შიუკაშვილი, სტურუა 11 ნოემბრიდან, ლექვინაძე და ანდრიაშვილი-მინაძე, 17 ნოემბრიდან და ჩაბანოვი 16 ნოემბრიდან, მხოლოთ ჭილაშვილი და შიუკაშვილი თანახმათ თხოვნისა.

ამორიცხულია მოსამსახურეთა ხიიდან: ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე-5 ხარ. მოხელე თამარა ჭრელაშვილი ოთხი თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 1920 წ. 16 ნოემბრიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

27 ნოემბერი, 1920 წ., № 338.

მიეცეს სამი კვირის შვებულება ფინ. და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელის თანაშემწეს მიხეილ წვერავას ა. წ. ნოემბრის 29-დან.

2 დეკემბერი, 1920 წ. № 339.

დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა ბათომის ხაზინის პირველი ხარისხის მოლარე ნიკოლოზ თუთბერიძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 340.

დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა ონის მეორე ხარისხის ბუხჰალტერი ევსევი ფარნაოზის ძე ნიჟარაძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 341.

დაინიშნოს ონის ხაზინის მეორე ხარისხის ბუხჰალტრად ამავე ხაზინის რეგისტრატორი ალექსი ვარლამის ძე ჩიკვილაძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 342.

დანიშნულ იქმნას ქუთაისის ხაზინის მოანგარიშეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი ნინო ივანეს ასული ფხაკაძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 343.

დანიშნულ იქმნას ქუთაისის მეორე ხარისხის ბუჰლალტრად ამავე ხაზინის მოანგარიშე მარკოზ ალექსის ძე გძელიშვილი ა. წ. დეკემბრის 1-დან.

6 დეკემბერი, 1920 წ. № 344.

დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა ახალციხის ხაზინის მეორე ხარისხის მოლარე ვალერიან დურგლიშვილი ა. წ. ნოემბრის 24-დან.

№ 345.

დანიშნულ იქმნას საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის მოანგარიშეთ ამავე ნაწილის რეგისტრატორი ნიკოლოზ გიორგის ძე კაპანაძე ა. წ. დეკემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრ.-მრეწ.
მინისტრის მ. აღმ. **ხ. ავალიანი.**

არა ოფიციალური განუოფილება.

დამფუძნებელი კრება

14 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

შეიტანეს იქნა წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტთა საბოლოო ტექსტი.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სასახლის შესაკეთებლად დამატებით 8 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი პატიმართა შესანახად 40 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი სამთო-მადნო სამმართველოსთან საშთო-მადნო ტექნიკების მოსამზადებლათ კურსების დაარსების შესახებ.

შემდეგ მოხდა მსჯელობა მთავრობის განცხადების გამო მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ. პირველად ილაპარაკა ლ. შენგელაიამ.

ლ. შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა მთავრობაში და ამბობს: მთავრობაში მომხდარი ცვლილება სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ის ეხება მხოლოდ კაბინეტიდან ერთი მინისტრის გასვლას და ზოგიერთი სამინისტროების გადაჯგუფებას. შარშან ამ დროსაც მოხდა ასე ვსთქვათ მთავრობის შეკეთება, მაგრამ, როგორც ჩვენ მაშინ ამას ავღნიშნავდით, ეს შეკეთება საქმეს აო უშველიდა და მთავრობა არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. ეს ასეც მოხდა. წელსაც საახალწლოთ საჭირო შეიქნა თავრობაში ცვლილებების შეტანა. მთავრობა ჩვენში მოქმედობს რუსეთის ბიუროკრატიის მეთოდებით. როდესაც საზოგადოებრივი აზრი ამხედრდებოდა მთავრობის, ან რომელიმე მინისტრის პოლიტიკის წინააღმდეგ მაშინ გამოსცვლიდნენ რომელიმე მინისტრს, ხოლო სამოქმედო პროგრამას, საერთო პოლიტიკას, სისტემას უცვლელად სტოვებდნენ. ასე იქცევიან ჩვენშიაც. აქ ზოგიერთი მინისტრები გამოსცვალეს, ხოლო საერთო პოლიტიკა, სისტემა უცვლელი დასტოვეს. ეს ყოველად მიუღებელია და ჩვენ ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგნი ვართ.

პირველი ცვლილება, როგორც მოგახსენეთ ეხება ბიუჯეტ-მოქმედების მინისტრის წაცვლას, მეორე ცვლილება კი მდგომარეობს იმაში, რომ გზათა სამინისტრო შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს ყოველად მიუღებელია თუნდაც იმ მოსაზრებითაც; რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეტად რთული და ბევრი საქმეები აქვს დღევანდელ მომენტში. ამ სამინისტროსთვის საქმეების კეთება უჭირს და გზათა სამინისტროს მასთან შეერთება არ არის მიზან-შეწონილი.

მესამე ცვლილება ის არის, რომ ჩვენში დაარსდა მუდმივი თანამდებობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისა. ამ თანამდებობის დაარსების გამართლება არაფრით არ შეიძლება. არ შეიძლება ამის გამართლება იმ მოსაზრებითაც, რომელიც აქ ქორდანიამ მოიყვანა—საქმიანობის მოსაზრება. მთავრობის თავმჯდომარეს ცალკე უწყება არ აბარია და მას ყოველთვის დარჩება იმდენი დრო, რომ მთავრობის თავმჯდომარის საქმეებს გაუძღვეს. ასე რომ საქმიანობის თვალსაზრისით ამ თანამდებობის გამართლება შეუძლებელია. ამის გამართლება შეიძლება მხოლოდ პარტიულ თვალსაზრისით, რომ ბ. ქორდანიას მეტი დრო დარჩეს პარტიულ კოლეკტივებში მოხსენებების საკითხავად. ასე რომ მთავრობაში მომხდარი ცვლილება, ვიმეორებ, სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩვენ ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ რიცხვებში მოვითხოვეთ მთავრობის გადადგომა. ეს აქ ზოგიერთს კიდევაც გაუკვირდა, მაგრამ მასსას არ გაკვირვებია ეს (სიცილი). ხალხის ფართო წრეებში, რომ მთავრობას ნდობა არა აქვს, ეს ცხადია. აიღეთ თუნდა იძულებითი სესხი, რომლის საკითხი უკვე დაისვა მეორედ დამფუძნებელ კრებაში—კოლექტივებში. თუ ნდობა აქვს მთავრობას რა საჭიროა იძულებითი სესხის შემოღება, ისედაც მისცემენ სესხს, თუ ნდობა არა აქვს, მაშინ, ცხადია, იძულება საჭირო არის. ამიტომ არის ალაპარაკდნენ იძულებით სესხზე.

ამ ნაირად რჩება ისევ ძველი მთავრობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ავალიანი კვლავ განაგრძობს ყალბი ბონების ბეჭდვას (ხმაურობა: ჯულელი: ეს პროვოკაციაა, ღალატს სჩადიხარ. კიდევ ხმაურობა ისმის ხმები: „ძირს“).

თავმჯდომარე: დაწყნარდით ბატონებო, მე უცდი ორატორის მიერ წამოყენებულ ბრალდების დამტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ზომებს მივმართავ.

შენგელაია. დიახ მე ვსთქვი, რომ ფინანსთა მინისტრი ბ. ავალიანი ალბათ განაგრძობს ყალბი ბონების ბეჭდვას (კვლავ ხმაურობა: ხმები: „ალბათ“ მაშინ არ გითქვამთ. შენგელაია ბრალდებას იმეორებს სიტყვა „ალბათ“ გამოკლებით. თავმჯდომარე კვლავ ამშვიდებს კრებას. დეპუტატები დაეინებით მოითხოვენ ადგილიდან საბუთების მოყვანას წამოყენებული ბრალდების დასამტკიცებლათ.

შენგელაია: მე ამის საბუთი მაქვს, ეს არის მცირე კომისიის გამოძიება (ხმები: სად არის საბუთი, მოიტანეთ).

ორატორს ესერების ფრაქციიდან გადასცემენ ქაღალდებს).

მე საბუთი ხელთა მაქვს, თუ გნებავთ წაგიკითხავთ. შემდეგ, განაგრძობს ორატორი, ძველი მთავრობა რჩება—ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ განაგრძობს ბარბაროსულ მეთოდებით წესიერების დამყარებას, ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენში ჯოხი იბატონებს და კვლავ განმეორდება ლანჩხუთის ამბები. ეს იმას ნიშნავს, რომ ბ. ერაძე კვლავ განაგრძობს ხალხისთვის ერთი გირვანქა ტალახის მიწოდებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მენშევიკების ცეკა კვლავ შეიძენს სტამბებს და წითელ სახლს. შემდეგ ორატორი ეხება საგარეო პოლიტიკას და ამბობს: აოსად არ არის ისეთი საიდუმლო დიპლომატია, როგორც ჩვენში. თუ რა ხდება ჩვენში მტრებმა იციან, ჩვენ კი არაფერი ვიცით. როგორი იყო ეს პოლიტიკა, ამას გაიგებთ შემდეგიდან (ორატორი კითხულობს ზოგიერთ მკაცრ შენიშვნებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის შესახებ გაზ. „ერთობიდან“. დასასრულ ორატორმა მოითხოვა მთავრობის გადადგომა და სთქვა: თუ გინდათ ნამდვილი მთავრობა გყავდეთ დაყენეთ ნამდვილი სოციალისტები და არა ქამები (დიდი ხმაური. ისმის ხმები: „ძირს“. თავმჯდომარე ზარს რეკავს და ორატორს აფრთხილებს, რომ თუ კიდევ დაუშვა ასეთი გამოთქმები, მაშინ ის იძულებული იქნება მას სიტყვა წაართვას. ხმაური გრძელდება. ორატორი ჩამოდის ტრიბუნიდან).

შემდეგ ილაპარაკეს: სპ. კედიამ, რ. არსენიძემ და ვ. თევზაიამ, ორმა უკანასკნელათ მოლაპარაკე ორატორებმა პასუხი გასცეს ყველა იმ ბრალდებებზე, რომელიც ოპოზიციის მიერ იყო წამოყენებული. მათ სიტყვებს ხვალინდელ ნომერში მოვათავსებთ.

(დასასრული იქნება).

უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

საერთაშორისო არბიტრაჟი.

შვეიცარიის პრესა გადმოგვცემს: დანიის, ნორვეგიისა და შვეციის წარმომადგენელმა, რომლებიც ერთა ლიგის საბჭოში შედიან, წინადადება შეიტანეს საერთაშორისო არბიტრაჟი და გამოსძებნონ ზომები იმ მიზნით, რათა ეკონომიური ზეგავლენა იქონიონ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ერთა ლიგის დადგენილებას უარყოფენ. სკანდინავიის სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოითხოვენ რომ ერთა ლიგა, რაც შეიძლება მალე შეუდგეს თავის ძირითად ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებას.

აზერბეიჯანი ერთა ლიგაში.

„ტანი“ იუწყება: ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად ჟენევაში, ერთა ლიგის საერთო ყრილობას დაესწრო აზერბეიჯანის დელეგაციაც, რომელიც შუამდგომლობდა აზერბეიჯანის ჩარიცხვის შესახებ ერთა ლიგაში. შუამდგომლობა გადაეცა საგანგებო შინა კომისიას, რომელმაც მოისმინა დელეგატების განმარტებანი.

ფრანც იოსების ძეგლის დანგრევა.

ქალაქ აშში ჩეხმა ჯარის კაცებმა დაანგრიეს იმპერატორ ფრანც იოსების ძეგლი. სროლის დროს დაიჭრა რამოდენიმე კაცი, მოკლულია 3. მთავრობის თავმჯდომარე ჩერნინ სენატის შეკითხვაზე განაცხადა, რომ მოხდენილ იქნება სასტიკი გამოძიება და დამნაშავენი დაისჯებიან მიუხედავათ იმისა, ისინი გერმანელები თუ ჩეხები იქნებიან.

რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი.

„ტაიმსი“ იუწყება: კრასინი მიიღო ლოიდ-ჯორჯმა, რომელიც რუსეთის წარმომადგენელს შეპირდა, რომ იგი მას ამ დღეებში გადასცემს ინგლისს-რუსეთის სავაჭრო შეთანხმების პროექტს. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ უკანასკნელი პროექტის პირობები ცოტათი განსხვავდება ივნისის პროექტის პირობებისაგან. ახალ პროექტში შეტანილია რამდენიმე ახალი მუხლი, მათ შორის რუსეთის ოქროს თავისუფალ გამოტანისა და რუსეთის ვალდებულების შესახებ, რომლის ძალითაც რუსეთმა სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენამდე უნდა გადაიხადოს თავის ვალები. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ კრასინი, ალბად უარს განაცხადებს უკანასკნელი მუხლის ხელის მოწერაზე იმ მიზეზის გამო, რომ ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს არა სავაჭრო დელეგაციამ, არამედ სამშვიდობო დელეგაციამ საერთაშორისო მასშტაბით. „ტაიმსი“ თავის წერილს შემდეგი მოსაზრებით ასრულებს: თვით ინგლისისათვის მნიშვნელოვანი იქნება რუსეთთან ხელშეკრულების დადება, რადგანაც ამ შემთხვევაში ლონდონის ქუჩებზე მოხეტიალეთ საშვალება მივცემთ ხელი მოკიდონ სამუშაოს.

სოციალისტური კონფერენცია.

შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ სხვა და სხვა ქვეყნის დელეგატებს ნება დართო შვეიცარიაში შესვლისა, სადაც დეკემბრის დამლევს უნდა შესდგეს სოციალისტური კონფერენცია. კონფერენციის წევრებს წინადადება მიეცათ არ გასწიონ რაიმე აგიტაცია შვეიცარიაში მათი ყოფნის დროს.

მალონის დაპატიმრება.

დუბლინში ლონდონის სკოტლენტ-იარდის მიწერილობის თანახმად დააპატიმრეს ბრიტანეთის პარლამენტის მუშათა ფრაქციის წევრი მალონი. დაპატიმრება მოხდა ისტორიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ სხდომის დროს. ისტორიულმა საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა მალონის დაპატიმრების გამო. დაპატიმრება გამოიწვია მალონის ბინაზე მომხდარ ჩხრეკას შედეგმა. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქმნა რევოლიუციონურ ხასიათის ქაღალდები.

დახმარება რუს ლტოლვილთ.

ამერიკის უმაღლეს კომისრის ამირბარ ბრისტოლის ინიციატივით მოხდა თათბირი რუს ლტოლვილთა დახმარების საკითხის შესახებ. გადასწყვიტეს დაუყონებლივ ამცნონ ამერიკის მთავრობას ლტოლვილთა საშინელი მდგომარეობა და მოთხოვონ დახმარება ამერიკის საზოგადოებასა და მთავრობას.

დეპეშები

(საქართ. დეპ. სააგენტო.)

ლიონის ცნობები

ზარბაზნების განადგურება.

გენერალი ნოლლე მოითხოვს გერმანიის მძიმე ზარბაზნების განადგურებას. გენერალმა ნოლლემ აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ მას არ შეუძლიან მიიღოს ის განმარტება, რომელიც მისცა მთავრობამ სამოქალაქო თავდაცვის განიარაღების შესახებ და სთხოვს გერმანიის მთავრობას გასცეს ბრძანება გაანადგურონ დეკემბრის 15-დე საალყო ზარბაზნები, რომლებიც წინააღმდეგ ვერსალის ხელშეკრულებისა ამდენხანს არ გაუნადგურებიათ.

მესაკუთრეთა ბრძოლა.

თანახმად ფრანგული პრესის ცნობისა უნგრეთის წვრილმა მესაკუთრეებმა დაიწყეს ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. მიწის წვრილ მესაკუთრეთა ოპოზიცია გამოწვეულია პურის რეკვიზიციით. ადვილად შესაძლებელია, რომ ტელეკის შეცვლის ან ვაჭრობის მინისტრი ან და გრაფი ბეტლენი.

დამფუძნებელი კრება სამხრეთ ხლავიაში.

დამფუძნებელ კრების სხდომა პაშიჩის თავმჯდომარეობით შესდგა. კომუნისტებმა გადასწყვიტეს დაუჭირონ მხარი ქვეყნის ცენტრალიზაციას და გაერთიანებას. რადიჩის პარტია სხდომას არ დასწრებია.

დიპლომატიურ დამოკიდებულების წინააღმდეგ.

თანახმად მოსული ცნობისა ბულგარეთის მთავრობამ დაადგინა: დასტოვოს უშედეგოდ ჩიჩერინის თხოვნა დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

ლეონ ბურჟუა და ერთა ლიგა.

როგორც კი განაცხადა თავმჯდომარემ, რომ მის მიერ მიღებულია ნობელის კომიტეტიდან ცნობა, რომ ზავის ჯილდო მიანიჭეს ლეონ ბურჟუასო, დელეგატები წამსვე წამოსდგენ ფეხზე და ლეონ ბურჟუას ოვაციები გაუმართეს.

ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

მოკავშირეთა და გერმანელთა ექსპერტების კონფერენცია ანაზღაურების საკითხთა განსახილველად გაიხსნება ბრიუსელში დეკ. 16. გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას დეკ. 13, ზარალის ანაზღაურების შესახებ გადასცა ახალი წერილობითი განცხადება. ამ განცხადებაში დაწვრილებით არის აღწერილი გერმანიის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა. მოკავშირეთა დელეგატები ბრიუსელის კონფერენციაზე განიხილავენ ამ მდგომარეობას.

სერბია და ჰოლანდია.

იმ პოზიციის გამო, რომელიც სერბიის მთავრობამ დაიკავა ბელგრადში მყოფ ჰოლანდიის ელჩის შეურაცხყოფის საქმეში, ჰოლანდიის მთავრობამ გამოიწვია თავისი ელჩი ბელგრადიდან და განაცხადა, რომ სერბიის მთავრობის რწმუნებულის ჰაგაში დარჩენა არ არის სასურველი.

გერმანიის უნივერსიტეტში

გერმანიის უნივერსიტეტების სტუდენტებით ავსების გამო მთავრობა მოითხოვს, რომ უცხოელმა სტუდენტებმა წინასწარ (ერთი თვით ადრე) წარმოადგინონ ცნობები მათი განათლებისა და გერმანული ენის ცოდნის შესახებ. ამ თხოვნებს განიხილავს სახალხო განათლების სამინისტრო.

საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

იტალიის გაზეთები სწერენ: რომ საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა გამოსთქვა სურვილი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისათ. მილიერანი არ ეწინააღმდეგება ამ სურვილს.

ემზადებიან რუსეთთან ვაჭრობის აღსადგენად.

ლატვიის გაზეთები იუწყებიან: რიგაში საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის საწარმოებლათ შვეიცარიის ფაბრიკების განყოფილება დაარსდაო.

რაღასაც ეპირებენ.

ეპოქა იუწყება: ვრანგელის ჯარის ნაწილები ბესარაბიის საზღვრებისაკენ გაიგზავნაო.

ვრანგელმა აცნობა საფრანგეთის მთავრობას პარიზში მისვლის სურვილის შესახებ. მისი მიზანი იყო მოლაპარაკებოდა საფრანგეთის მთავრობას თავისი ჯარის და ლტოლვილების შესახებ. საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა, რომ მისი პარიზში მოსვლა არ არის სასურველი.

სოციალისტების დაჭერა.

რუმინეთში 50 დე სოციალისტი დაატუსაღეს. კონსტანცაში მოვიდა რუსეთის გემი საფრანგეთის დროშის ქვეშ, რომელმაც 900 ყირიმის ლტოლვილი მოიყვანა. მათ შორის არიან იალტის გუბერნატორი, გრაფი ტოლსტოი და მთელი რიგი გენერლებისა, ოფიცრებისა და სენატორებისა.

სახალხო გვარდიის დღე.

დეკემბრის 12, სახალხო გვარდიის დღესასწაულის დღეს, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა გამართა საზეიმო სადილი, რომელზედაც იყვნენ მოწვეულნი ჯარისა და გვარდიის ნაწილების წარმომადგენლები. სადილს დაესწრო გვარდიის მთავარი შტაბი ვალ. ჯულელის მეთაურობით, იუსტიციის მინისტრი არსენიძე და სხვა. იუსტიციის მინისტრმა რ. არსენიძემ მოკლე სიტყვაში აღნიშნა სახალხო გვარდიის დაუფასებელი შრომა და ღვაწლი. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ვალ. ჯულელმა, რომელმაც აღნიშნა გვარდიის

მზათ ყოფნა ხალხის და დემოკრატიის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დასაცავად. ორატორმა აღნიშნა, რომ გვარდია მზად არის დადგეს რესპუბლიკის საზღვრებზე და დაამტკიცოს რომ სახალხო გვარდიის შორის, არ არის არც ერთი გამცემი, რომ არ არის არც ერთი ლაჩარი. სახალხო გვარდია სამშობლოს თავისუფლების შელახვის ნებას არავის არ მისცემს. შემდეგ ჯარის კაცთა სახელით გამოვიდა რადიო-როტის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ გვარდია და ჯარი შეუდრეკელი დამცველია რევოლიუციონურ დემოკრატიისაო. გვარდიის საუკეთესო შვილები სწირავენ თავს ხალხის საკეთილდღეოთ. ამ გმირებმა ერთი ანდერძი დასტოვეს: სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა და მისი დაცვა. ჯარს და გვარდიას ახსოვთ თავისი უფროსი ძმები ეს დიდი ანდერძი. ჯარი და გვარდია მზათ არიან დაიცვან საქართველოს ტერიტორია, ყოველგვარი თავდასხმისაგან. სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა მთავარი შტაბის წევრმა ალ. დგებუაძემ, რომელიც მიესალმა ზეიმზე მყოფ რუსებს და გამოსთქვა სიმპატია ნიჭიერ და მრავალტანჯულ ხალხის მიმართ. ჯარის კაცთა წარმომადგენელმა ივ. კობახიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, ქართველ ხალხს ისტორიული გმირობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს დემოკრატიას აღარ აინტერესებს ბოლშევიკების გახუნებული დროშა და რომ საქართველო მიდის მის მიერ არჩეულ გზითო. საღამოს შესდგა გვარდიისა და ჯარის ოფიცრების ვახშამი.

ერობა

გუმისტინის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ ერობათა კავშირის კომიტეტს აფხაზეთის ერობის და ქალაქის მოღვაწეთა ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია გადმოუგზავნა. ყრილობის რეზოლიუციაში აღნიშნულია: 1) იღებს რა მხედველობაში აფხაზეთის ეკონომიურ თავისებურებას და რესპუბლიკის ცენტრთან ნორმალურ დამოკიდებულების უქონლობას, ქალაქის და ერობის მოღვაწეთა მეორე ყრილობა საჭიროდ ნახულობს აფხაზეთის მომარაგების მოსაწყობად სოხუმში რესპუბლიკის ერობათა კავშირის კომერციულ განყოფილების გახსნას, 2) კომერციული განყოფილება თავის მოქმედებას აფხაზეთის მცხოვრებთა სასურსათო ეკონომიურ ინტერესებს შეუფარდებს და მიაწოდებს აფხაზეთის ქალაქებს და ერობებს პირველ საჭიროების საგნებს, მათგან კი ეკვივალენტის სახით მიიღებს ადგილობრივ წარმოების საქონელს და ნედლ მასალას, 3) კომერციულ განყოფილების მოქმედებას მცხოვრებთა ინტერესებთან შეფარდებისათვის, ყრილობა ირჩევს ეკონომიურ კომისიას, რომელიც ერობათა კავშირის წარმომადგენელებთან ერთად შეიმუშავებს ეკონომიურ განყოფილების საშუამავლო ოპერაციების და ვაჭრობის ძირითად საფუძვლებს.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს სოხუმში თავისი აგენტურა. რაც შეეხება აფხაზეთის ერობის და ქალაქის მოღვაწეთა მეორე ყრილობის დადგენილებას, კომიტეტმა დაადგინა გადასცეს ეს საკითხი განსახილველად ერობათა თვითმართველობების წარმომადგენელთა მომავალ ყრილობას.

ახალი ამბები

✦ **სადეზინფექციო კამერები.** ქალაქთა კავშირმა აცნობა რესპუბლიკის ქალაქებს, რომ ამ ჟამად შეუძლებელია დიდი სადეზინფექციო კამერების შეძენაო. ამიტომ ქალაქებს წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ შეუდგენ ქალაქის სადეზინფექციო მოწყობაზე ზრუნვას, კავშირის საალფთიაქო საწყობიდან მოძრავ სადეზინფექციო კამერების შეძენის საშუალებით.

✦ **უხვი შემოწირულება.** მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებაში ქვეყნის თავდაცვისათვის მოქ. ივანე ვარაბაშვილისაგან 1.015.000 მან. შევიდა.

მისალმება დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა გორიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: მეჯვრისხევის რაიონის გვარდიელები გილოცავენ დეკემბრის 12 და აცხადებენ, რომ ისინი სავსებით იწონებენ დამფუძნებელ კრების მუშაობას.

— ბორჯომიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: ბორჯომში მყოფი გვარდიელები ფიცსა სდებენ, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ რესპუბლიკის სუვერენიტეტსო.

✦ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფილ ფრეიდინის) ქ., № 11, შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: 1. ინჟ. ვ. ჯაკაბაძე „ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და საჭირო ტეხნიკური საქმიანობა“ და 2. ინჟ. გედევანიშვილი „შრომის პრემიალური დასაჩუქრება“.

✦ **მოწვეთა დითხოვნა.** სახალხო განათლების სამინისტრომ ქალაქისა და ერობის თვითმართველობებს წინადადება მისცა დაითხოვონ საშუალო სასწავლებელთა მოწვეანი დეკემბრის 25-დან იანვრის 17-მდე ახალი სტილით. ამასთანავე ამავე თვითმართველობებს მიეცათ წინადადება, რათა მიიღონ ზომები, რომ წლის მეორე ნახევარში მეცადინეობა ნორმალურად სწარმოეზდეს.

თავდაცვისათვის.

შემოწირულებათა შემოტანა მთავარ კომიტეტში თანდათან ძლიერდება. კომიტეტმა ბრძანება გასცა შემომწირველთა სიების შედგენის და მათ გამოქვეყნების შესახებ.

— დამფუძნებელი კრების დარბაზში დეკემბრის 13 შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა გააკეთა მოხსენება ცალკე სექციათა მუშაობის შესახებ. მოხსენებების შემდეგ პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სხდომას სარევიზიო კომისიას პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობის ხელახალ არჩევის შესახებ, კომიტეტში ახალ წევრების შესვლის—გამო. კომიტეტმა დაადგინა აირჩიოს ხელახლად პრეზიდიუმის ძველი შემადგენლობა. ამავე სხდომაზე კომიტეტმა მოიწონა პრეზიდიუმის წინადადება დეკემბრის 24 და 25 ტფილისში და სხვა ქალაქებში „ფრონტის ნაძვის ხეების“ მოწყობის შესახებ. ამ დღეების მოსაწყობათ აირჩიეს კომისია 15 კაცის შემადგენლობით. შემდეგ კომიტეტმა მოისმინა ცალკე სექციის მოხსენებანი, შემოწირულებათა შემოსვლის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შემოწირულებანი კარგათ შემოდის, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა შეძლებულ პირებს შემოწირულებაზე უარი განუცხადებიათ. კომიტეტმა დაადგინა იმ შეძლებულ პირთა სიის გამოქვეყნება, რომლებმაც შეძოწირულებაზე უარი განაცხადეს.

გზათა დეპარტამენტში

რკინის გზის დეპარტამენტი აცხადებს შემდეგს: სხვა და სხვა გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა, ვითომ სომხეთში მიმავალი სატრანზიტო ტვირთი შეჩერებული იყო საქართველოს რკინის გზების მიერ სრულიად ეწინააღმდეგება სიმართლეს.

მიმოსვლა და ტვირთის გაგზავნას სანაინისაკენ დროებით დაუშალა 96 ვერსზედ მომხდარ დიდმა ჩამოწვავებამ კლდეებისა, რომელიც 10 დეკემბრისათვის გაწმეხდილი იქნა და მოძრაობაც ამ დღიდან გაიხსნა. რაც შეეხება გაზეთების ცნობაში აღნიშნულ ტვირთს (ნავთი, ფქვილი, და სხვა) ის დროებით დატოვებული იყო საქართველოში და ინახებოდა საქართველოს რკინის გზის სადგურებზედ სომხეთის მთავრობის წარმომადგენლობის თხოვნის თანახმად ვინაიდან სანაინიდან სამხრეთისაკენ გამოურკვეველი მდგომარეობა იყო და არა რკინის გზების ადმინისტრაციის განკარგულებით.

გზათა დეპარტამენტის საბჭოს დარბაზში მოწვეულია სხდომა რკინის გზის ტარიფების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით. სხდომაზე გარდა გზათა უწყების უმაღლესი ადმინისტრაციისა მოწვეული არიან საზოგადო მოღვაწეთა წარმომადგენლები, ვაჭრობა-მრეწველობის წრეებიდან და პრესიდან.

სენატი

საქართველოს სენატის მოქალაქეთა საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლის დეკემბრის-ს საჯარო სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე ალექსანდრა (იგივე შუშანიკ) ფასადანოვისას და ელისაბედ ნაცვალოვისას სომეხთა-კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოებას, იაფ და უფასო სასადილოთა საზოგადოებას და ევგენია ტერ-არაქელოვისასთან სუმბათ ტერ-არაქელოვის ნოტარიალური ანდერძის წერილის გაბათილების თაობაზე.

საქმე ადოლფ დოლმატოვსკის ვარლამ თაყაიშვილთან 834245 მან. თაობაზე.

3. საქმე ცისა შერვაშიძის კონსტანტინე ხინთლ-ოღლისთან ნასყიდობის სიგელის გაბათილების თაობაზე.

4. საქმე კონსტანტინე ჯაიანის ევგენია ფურცელაძესთან შვილების აღსაზრდელ სარჩოს თაობაზე.

5. საქმე სარქის საფრაზიანცის, შუშანიკ ლალაიანცის, გევორქ სტეფანიანცის, სოფიო გალუსტიანცის, ბარბარე ევონიანცის, ნატალია უშიაროვის და ევგენია სარიბეგოვის მათთვის ბაგრატ საფაროვის სიკვდილას შემდეგ დარჩენილ ფასიან ქაღალდების გაცემის თაობაზე.

6. საქმე ეკატერინე მიხეილის ასულის და ალექსანდრე ბაბახანოვების ლენინ ბარისოვთან 934 მან. და ბინის თაობაზე.

7. საქმე იაკობ და იაკიმ შეიკინების სოფიო კობალაძესთან მამულის და ნასყიდობის სიგელის თაობაზე.

მილიციაში

ტფილისის სისხლის მილიციამ დაუპატიმრა ალ. კოკოიანცი, ნ. ჯიშკარიანი, გ. ბარამაძე და ა. ტარიელაშვილი, რომელთაც ბრალდებათ სისტემატიურ ქურდობა სხვა და სხვა სავაჭრო მაღაზიებიდან. კვლევა-ძიების დროს მათ აღმოაჩნდათ სხვა და სხვა ნაქურდალი საქონელი, რომლებიც თან და თან ბარდება დაზარალებულებს.

— იმავე მილიციამ დაუპატიმრა და მოათავსა სამილიციო სამმართვ. საპყრობილეში ცნობილი დახელოვნებული ქურდი ვასილ გრიგორის ძე ანიკოევი და მიხაილ ივანეს ძე მახარაშვილი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირნი.

— იტალიური ლაბარატორიის, არსებულ ბებუთოვის ქ., № 27, ექიმ ედუარდ კუკს ბინიდან მოპარეს ნაღდი ფული 86.000 მან. ეჭვი იყო მიტანილ უცნობ ბავშვზე, რომლის სახელი იყო სტეფანე; მილიციამ გამოარკვია, რომ ამ ბავშვის სახელი და გვარი არის სტეფანე ვაიკის ძე შერმაზანოვი, რომელიც სცხოვრობს უგოლნი ტუპ., № 6, ის დაპატიმრებული იქნა; ბავშვი დანაშაულობაში გამოტყდა.

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ“ 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ხ. ავალიანი.**

წესდება

ჭიათურის ბანკისა.

I. დაარსება და კაპიტალი ბანკისა.

§ 10.

ბანკის აქციები აქციონერთა სურვილისამებრ შეიძლება იყოს სახელობითნი ანუ უსახელონი. ყველა აქცია უნდა იყოს ამოჭრილი წიგნიდან, საცა რჩება ტალონი. აქცია ეს ეძლევა პატრონს დანომრილი და ხელმოწერილი გამგეობის სამი წევრისა, ბუხჰალტერისა და მოლარის მიერ, თან ბეჭედ დაკრული. თითეულ აქციას დაერთვის კუპონების ფურცელი დივიდენდის მისაღებად ათი წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ აქციის პატრონს მიეცემა ახალი ფურცელი კუპონებისა.

§ 11.

გადაცემა ბანკის უსახელო აქციებისა ერთისაგან მეორეს ხელში არავითარ ფორმალობის შესრულებას არ მოითხოვს და ბანკს უსახელო აქციის პატრონად მუდამ ის მიაჩნია, ვის ხელშიაც აქცია არის; სახელობითი აქციების გადაცემა კი უნდა ეცნობოს ბანკის გამგეობას, რომელსაც თვით უნდა წარუდგინონ აქციები და იმან უნდა გადასცეს ახალ პატრონს.

§ 12.

აქციონერის სიკვდილის შემდეგ მისი უფლებები გადადის მის მემკვიდრეებზე კანონისა ან ანდერძისამებრ, ხოლო არავითარ შემთხვევაში თითოული აქცია არ ექვემდებარება განაწილებას.

§ 13.

II. ბანკის ოპერაციები.

საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო სამრეწველო ბანკს ნება აქვს აწარმოოს შემდეგი ოპერაციები:

ა) განაღდება, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ვექსილებისა და ყველა სხვა ვაჭრულ გარიგებაქე დაფუძნებულ ვალდებულების ქაღალდისა ვადით არა უგვიანეს ცხრა თვისა და აგრეთვე გადანაღდება (ვადაგირავება) ბანკის მიერ განაღდებული ვექსილებისა და ვალდებულების ქაღალდებისა, რომლებზედაც ბანკის ბლანკი უნდა იყოს წარწერილი.

ბ) წარმოება სესხისა და კრედიტის გახსნა ვადით არა უგვიანეს ცხრა თვისა და აგრეთვე სპეციალ მიმდინარე ავკარიშისა კონტაკორენტის სახით:

1) გირავნობის ქვეშ სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდებისა, პაებისა, აქციებისა, ობლიგაციებისა და გირავნობის ფურცლებისა, ისე რომ სესხი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდა ათ პროცენტს (90%) მათი საბირჟო ფასისას.

2) გირავნობის ქვეშ კონოსამენტებისა, საქონლის საწყობის მოწმობისა (ვარანტებისა), საქონლის გადასაზიდავ ბარათებისა და სატრანსპორტო კანტორათა, რკინის გზასა, ელევატორთა და სანაოსნო საზოგადოებათა კვიტანციებისა იმ საქონელზე, რომელიც ადვილად არ გაფუჭდება. ამ შემთხვევაში გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ორ მესამედს ($^2/_3$) ამ საქონლის ღირებულებისას და ეს უკანასკნელიც უნდა იყოს დაზღვეული ათი პროცენტით მეტ ფასში, ვიდრე გაცემული სესხი და აგრეთვე დაზღვევის ვადაც ერთი თვით მაინც მეტი უნდა იყოს სესხის ვადაზე და დაზღვევის პოლისებიც ბანკში უნდა ინახებოდეს.

3) გირავნობის ქვეშ ადვილად გაუფუჭებელი საქონელთა, ხოლო გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ამა საქონელთა ღირებულების ორ მესამედს ($^2/_3$) და თან ეს საქონელი დაწყობილი უნდა იყოს ცეცხლისგან უშიშარ და კეთილსაიმედო, გამგეობის აზრით, შენობაში და აგრეთვე დაზღვეული უნდა იყოს არა ნაკლებ ათი პროცენტით მეტ ფასში ვიდრე გაცემული სესხი, ვადაც დაზღვევისა ერთი თვის მაინც მეტი უნდა იყოს, ვიდრე ვადა სესხისა, პოლისიც ბანკში უნდა ინახებოდეს და ქირა შენობისა, საცა საქონელია შენახული, ერთი თვისა მეტი უნდა იყოს გადახდილი, ვიდრე სესხის ვადა.

4) გირავნობის ქვეშ ძვირფას ლითონთა და ოქროს მისაღებ ასიგნოვკათა, რომელზედაც გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდა ათ პროცენტს (90%) დასაგირავებელ ლითონის დაკანონებულ (და არა საბირჟო) ღირებულებისას.

ჩანცხადებანი

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ხაჩატურ სარქისის ძე ჩარიხჩიანცის სახელზე, მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4185 3—3

დაიკარგა პასპორტი იოსებ ოგანესას ძე ყაზარეთის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4196 3—3

დაიკარგა წიგნაკი № 158 გიეშა მარდუხის ძე ბეილინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4201 3—3

დაიკარგა ნამსახურობის ს

დაიკარგა საბინაო დავთარი ყვირილის ქუჩ. №10 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ივანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4235 3—2

ᲛᲔᲥᲘᲚᲝᲑᲐ მიცემული ტურანჯა ავასის ძე კლაროვის მიერ მოსეს გრიგოლის ძე მალუცევზე. შედგენილი 1916 წ. 29 თებერვალს ნოტარიუსს ქართველიშვილთან დღეიდან გაუქმებულად ითვლება 4223 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის უწყება მიხეილ ბარსეგის ძე პირკუმოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4215 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 22168, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა დიმიტრი იორდანაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4226 3—2

დაიკარგა პასპორტი № 106 სამსონ ასატურის ძე კაფიევის სახელზე, მიღებული შუშის მაზრაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4228 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ლავრენტი გლახუას ძე ფოფხაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მოწმობა შემოწმებული რაჭის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის მიერ 23 იანვარს 1920 წ. № 9 და მოწმობა მიცემული მე-7 ქვეითა ათასეულის უფროსის მიერ № 1488, სთხოვს მპოვნელებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 4238 3—2

ქუთაისის საეპარქიო სასამართლოში ელისაბედ სამსონის ასულმა ბარაიამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ივანე სიმონის ძე ბარაია, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1908 წ. უკვალოდ დაიკარგა 1912 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული ივანე ბარაიას მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით განუცხადოს საეპარქიო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 4234 3—2

ქალაქ გორში მცხოვრებელმა მოქალაქემ სარქის მჭედლიშვილმა დაჰკარგა სამსახურის ნუსხა № 3 მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4035 3—2

დაიკარგა პასპორტი № 10659 ნიხო კონსტანტინეს ასული სემიონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4209 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები დამტკიცებულნი ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1918 წ. № 405 და № 487 გრიგოლ და სტეფანე არიუტინოვების სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4204 3—3

დაიკარგა სახლვარ გარეთის პასპორტი ანატოლი კლავდის ძე ტომილინის სახელზე, მიღებული მოსკოვის მილიციიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4203 3—3

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის ბარათი სურათით № 1045 მილიციონერ ლუკა სტეფანეს ძე აგულოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4206 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 486 სიაონ გიორგის ძე გვასალიას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4207 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1815 ოლგა ალექსანდრეს ძე ინჩიკოვის სახელზე, მიღებული მოსკოვის გრადონაჩალნიკისაგან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4213 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული პოლიცმეისტრის სამმართველოდან, ღვინის მოტანის ნებართვა, მიღებული სააქციზო სამმართველოდან. სურსათის ჩამოტანის ნებართვა, მიღებული ტფ. მე-8-ე უბნის კომისარიატიდან, სამი ფუთი გოგირდის ორდერი, მიღებული მიწ. მოქ. სამინისტროდან. ს. დემოკრ. პარტიის წევრობის წიგნაკი იოსეფ ავეტისას ხითაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4151 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი, სამოვოლნი (ერთობის უბანი) ქ., № 15, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გ. გუმარიტოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4126 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული კავკავში, სათადარიგო ჯარში გადარიცხვის მოწმობა, მიღებული კავკავის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1917 წ. და მეტრიკა პეტრე პავლეს ძე მრევლიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4127 3—3

დაიკარგა შეღავათიანი ბილეთები, მიღებულნი 1. კახეთის რკ. გზის სამმართველოდან და 2. საქ. რკინის გზის სამმართველოდან და ორი ხაზინის ბარათები სახლის ქირის შეტანის შესახებ დავით ტარიელის ძე ბაქრაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პირადობის მოწმობა მიღებული ბაისუბნის თომა კიმოთეს ძე გოგოლაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4115 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 613 და სამსახურის ნუსხა, მიღებული მე-5-ე ქვეითა ათასეულიდან ალექსი პავლეს ძე დავითურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4153 3—3

დაიკარგა პასპორტი ირინე ივანეს ასული ნოვიკოვის სახელზე, მიღებული კავკასიის ჯარების შტაბიდან და მეტრიკული ამოწერილობები ვალენტინა და ნინო ლეშჩუკოვების. გაუქმებულად ჩაითვალოს 4155 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული საქართველოს სახ. რკ. გზის სამმართველოდან, რკ. გზელთა პროფესიონალური კავშირის წიგნაკი და სამარხი კასის წიგნაკი და ს. დემოკ. პარტიის წევრობის ბარათი თედორე ქიტესის ძე პეტრიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4131 3—3

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის უწყება № 2407 და მეტრიკა № 700 ბენიამინ რუბენის ძე აბრამაშვილის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4130 3—3

დაიკარგა ცენტრობანკის 40 აქციის ორი კვიტანცია, ჩეკის წიგნაკი და ფულის გასატანი წიგნაკი, ორი ცალი ხელშეკრულება დადებული სამხედრო სამინისტროსთან და სხვა და სხვა საბუთები, იაკობ ლუკას ძე სირაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4197 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან რეშტში და მეტრიკული მოწმობა ვარდო ოგანესის ძე აივაზიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4217 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი პეტროვსკის ქ. № 16 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბალუევს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4150 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და პირადობის მოწმობა, მიღებული სავაჭრო საზოგადოება „კახეთი“-დან ევსევი ალექსის ძე ებანოიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4181 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 363 მილიციონერი აკაკი მოსეს ჟღენტის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4140 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა მალაქია სპირიდონის ძე გვიმბრაძის სახელზე, მიღებული მე-6-ე ათასეულიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4141 3—3

დაიკარგა პასპორტი № 187 გიორგი კონსტანტინეს ძე ვეხტიევის სახელზე, მიღებული ბათომის თვითმართველობიდან 1907 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4142 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიხეილ ივანეს ძე მირიმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4147 3—3

დაიკარგა პასპორტი № 4700, მიხეილ ალექსის ძე კოვალენკოვ-კოვალიოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალური საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4173 3—3

დაიკარგა პასპორტი № 450, კარაპეტ ხაჩატურის ძე ვოსკანიანცის სახელზე, მიღებული ტფილ. პოლიციმეისტერის სამართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4163 3—3

დაიკარგა პასპორტი № 295, გარეგინ აკოფის ძე მხითარიანცის სახელზე, მიღებული ბაქოს პოლიციმეისტერის სამართველოდან 1912 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4164 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შედგენილი ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტ. 21 ოქტომბერს 1917 წ. № 2819 რესტრ. იაკოფ მიხეილის ძე ბაღდადიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4179 3—3

სააქციზო სამართვლო ამით აცხადებს, რომ საზოგადოება „კახეთი“-ს დაუკარგავს ღვინის გასატანი მოწმობის ფურცლები №№ 7957, 7958, 7959, 7960, რომლებიც 28 მაისიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4167 3—3

დაიკარგა მიღებული 1917 წ. ტფ. რეალური სასწავლებლიდან ატესტატი № 574 და მოწმობა № 521 გიორგი ვაიჩესლავის ძე ადამოვიჩის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4148 3—3

დაიკარგა ტრამვაიზე მოგზაურობის მოწმობა სურათით № 1200, კოტე პეტრეს ძე შარვაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4149 3—3

ნალჩიანი აშოთა, ბალანაშვილი არჩილ, ბეკურაშვილი არჩილ, ხალათიანი ართავაზ, იავრიან მარტიროს, არუტუნიან ვაგან, ჰაპიკიან სარქის, ვაგან ფენარჯიანი, კონსტანტინე კუზანოვი, ოციან ლეონ, ბაბლოიანი სარქის, ეკოპიან ლეონ, ცხვედაძე გიორგი აცხადებენ რომ მათ დაკარგეს პირადობის მოწმობანი, მიცემული ქალაქის სახელოსნო სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ.) 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალქალაქის (გორის მაზრა) ერობიდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გურგენ მელიქის ძე გალუსტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4124 3—3

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიუ საზ. საწევრო წიგნაკი № 9130 მიხეილ ავლობაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4159 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ისაკ გრიგოლის ძე ობუხოვსკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4187 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 30 ნიკოლოზ კინ. სარჩილავას სახელზე, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4195 3—2

დაიკარგა პასპორტი იაკოფ მოსეს ძე ნამთალოვის სახელზე, მიღებული პოლიცმეისტრის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4188 3—

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლეონ აკოფას ძე აგამალოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4191 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1079 ალექპერ ქერიმ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4193 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი თხინვალის ქ. № 5 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ქ. კუდრიავცევს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4114 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ევდოკია ვლადიმერის ასული ნემოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4122 3—3

ფედოსი რევაზის ასული ჩახავა აცხადებს, რომ მის მიერ სამსონ რევაზის ძე ნაჭყეპიას სახელზე მიმდინარე 1920 წელში გაცემული სენაკის ნოტარიუსთან განცხადებული, რწმუნების ფურცელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 4177 3—3

დაიკარგა პასპორტი ნინო ალექსანდრეს ასული ჩხეიძის სახელზე, მიღებული საჩხერის სოფ. კომისრისაგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4174 3—3

დაიკარგა პასპორტი № 7431 რუბენ ეფრემის ძე გოზეიანცის სახელზე, მიღებული ერევანში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4175 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3318 ტიგრან ალექსანდრეს ძე ბაგინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4169 3—3

დაიკარგა პასპორტი ვენიამინ ბარისის ძე ნეიმანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4165 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან და სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო საკრებულოდან—არსენ (ივანე სარიბეგ) გრიგორის ძე ტერ-ბარსეგოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4168 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 63903 სამხედრო აღრიცხვის სამმართველოს სამნეო ნაწილის ბადრაგის გრ. ხვთისიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4242 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალქალაქის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული სასწავლო გუნდიდან 1919 წ. მარტია ალექსის ძე ამირაზაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4243 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ილარიონ გაბას ძე პილიევის სახელზე, მიღებული გოჯარეთის (გორის მაზ.) კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4244 3—1

დაიკარგა სოფ, კნოლევიდან ფქვილის ჩამოტანის ნებართვა ლიზა გალუსტოვის სახელზე, მიღებული კნოლევის თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4245 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა მორდუხ ლეიბ პოგრებეცკის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4255 3—1

კავკასიის ბანკი აცხადებს, რომ შესანახი მოწმობა გაცემული 1916 წ. დეკემბრის 20-ს № 5325 გიორგი კონსტანტინეს ძე პიტოევის სახელზე დაკარგულია და გაუქმებულად ჩაითვალოს. 4251 3—1

გიორგი ვასილის ძე ქოჩიაშვილი აუქმებს მინდობილებებს გაცემულს დომენტი ავგუსტინის ძე ლვითაიშვილის სახელზე, რომელნიც დამოწმებულია ტფ. ნოტარიუსი ქართველოვთან 1919 წ. და 1920 წ. №№ 4362 და 1082 და დამოწმებულს ნოტარიუს ბოტეზოტისთან 1918 წ. № 7365. 4253 3—1

დაიკარგა სამეურნეო ბანკის სათავნო ვადიანი ბარათი № 2283—შემოტანილი 1918 წ. 23 აგვისტოს 1000 მან. ერთი წლის ვადით, ივანე თომას ძე იაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვაჭრობის ნებართვა მიღებული ტფ. ხაზინიდან და 1920 წ. გადასახადის კვიტანცია მიღებული ქალაქის გამგეობიდან კარაპეტ არაქელის ძე ამიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4248 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ჭალის თემიდან (შორაპნის მაზრა), სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საპენსიო წიგნაკი გიორგი საჩინოს ძე გურასაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4249 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან და სხვა საბუთები ნიკოლოზ ბესარიონის ძე გვახარიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4265 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გიორგოზ ბაბაგარიანი.